მიღება-ჩაბარების აქტი № 32-114-M -1

ქ. თბილისი

28 სექტემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ „აწარმოე საქართველოში“** (შემდგომში - შემსყიდველი, სააგენტო), წარმოდგენილი **მარკეტინგული კომუნიკაციების და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ხათუნა საღინაძის** (ამავდროულად ხელშეკრულების საფუძველზე ინსპექტირების განმახორციელებელი პირი) სახით და მეორე მხრივ, **შპს „ტელეკომპანია პირველი“** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის **პაატა კაკაურიძის** სახით ვადგენთ აქტს მასზედ, რომ თანახმად მხარეთა შორის **2018 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 32-114-M ხელშეკრულებისა და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნისა (რომლის შინაარსობრივი ნაწილი ასახული ამავე მიღება-ჩაბარების აქტში)**, მიმწოდებლის მიერ გაწეულ იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად და ჯეროვნად, ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, კერძოდ,

მიმწოდებელმა განახორციელა საინფორმაციო - სარეკლამო ვიდეორგოლის სატელევიზიო გაშუქება ტელეკომპანია „TVპირველი“-ს ეთერში, 23 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით.

აღნიშნული მომსახურებისთვის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას 3704.40 (სამი ათას შვიდას ოთხი ლარი და 40 თეთრი) ლარს.

ლარს, რომელიც შემსყიდველის მიერ ანაზღაურდება ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად, სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს (ორგანიზაციის კოდი 24 07 02) 2018 წლის დაფინანსების ფარგლებში.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

ამასთან, წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი ადასტურებს, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

მხარეთა ხელმოწერები:

„შემსყიდველი“

სსიპ „აწარმოე საქართველოში“

მარკეტინგული კომუნიკაციების და
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

ხათუნა საღინაძე _____

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

შპს „ტელეკომპანია პირველი“
დირექტორი

პაატა კაკაურიძე _____

(ხელმოწერა)